საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

საინფორმაციო ბიულეტინი #2017-5

მის: შიო მღვიმელის ქ.#6ბ

e-mail: ethicscharter@gmail.com

საბჭოს საქმიანობა

საბჭომ განიხილა საქმეები:

- MDF მარი ჩიტაიას წინააღმდეგ;
- PHR ნინი ობგაიძის წინააღმდეგ;

სამდივნომ დასაშვებად ცნო შემდეგი საქმეები:

- კავშირ „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორის ბაია პატარაიას განცხადება მაია ასათიანის წინააღმდეგ;
- PHR „იმედის“ ჟურნალისტის, ნატა ტაბიძის წინააღმდეგ;

გამოქვეყნდა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი საქმეებზე:

- პარტია „თავისუფალი საქართველო“ ლევან ჯავახიშვილის და ბელა ზაქაიძის წინააღმდეგ;

მედიაციით დასრულდა საქმეები:

- მარინე მინდორაშვილი 4 ჟურნალისტის წინააღმდეგ;
- WISG “იმედის” ჟურნალისტების წინააღმდეგ;

ქარტიის საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება:

- „წითელი ზონისა“ და „ინტერVIEW-ს“ დახურვის შესახებ;

ქარტია შეუერთდა არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებას:

- „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ;

საარჩევნო მედიამონიტორინგი დაიწყო

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გაეროს განვითარების (UNDP) პროექტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონინტორინგი დაიწყო. ორგანიზაციის მონიტორები დააკვირდებიან საარჩებნო პროცესების გაშუქებს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მაუწყებლების დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში.

გენდერის საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო

ეთიკის ქარტიის საბჭომ გამოსცა ახალი სახელმძღვანელო გედნერული საკითხების გაშუქების შესახებ. ვრცლად...

დისკუსია საბავშვო გადაცემების შესახებ

ქარტიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა დისუსია, სადაც საბავშვო გადაცემებში გამოვლენილ ეთიკურ პრობლემებზე იმსჯელეს.

ტრენინგი რელიგიური საკითხების გაშუქების შესახებ

IREX-ის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი რელიგიური საკითხების გაშუქების შესახებ. პირველ დღეს ტრენინგს უძღვებოდა EMC-ის პროგრამის დირექტორი თამთა მიქელაძე, ხოლო მეორე დღეს მონაწილეებმა "ტაბულას" ჟურნალისტს და რელიგიის მიმოხილველს, ლევან სუთიძეს მოუსმენეს. ჟურნალისტებმა მიიღეს პრაქტიკული რჩევები, მაგალითად როგორ ეურთიერთონ სასულიერო პირებს, როგორ მიმართონ მათ, ვინ შეიძლება გახდეს მედიისთვის წყარო რელიგიაზე მუშაობისას და ა.შ.

ლიბცენტრის მეცხრე ჯგუფმა მუშაობა დაასრულა

"ლიბცენტრის" მეცხრე ჯგუფმა მუშაობა დაასრულა და პროექტის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ. პროექტი NED-ის ფინანსური მხარდაჭერით 2013 წლიდან ხორციელდება. ამ ხნის განმავლობაში უკვე 180-მა სტუდენტმა გაიარა კურსი მოისმინა საჯარო ლექციები და სამოქალაქო ჟურნალისტიკის უნარ-ჩვევების დახვეწას შეეცადნენ. მათ მიერ მომზადებული ფოტო ვიდეო და ტექსტური მასალების ხილვა შესაძლებელია საიტზე www.libcenter.ge

ქარტიის ორგანიზებით დაიწყო ჟურნალისტების სოლიდარობის აქციები თბილისიდან გატაცებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის მხარდასაჭერად. ქარტიის წევრები შეხვდნენ ევროკავშირის ელჩსა და აშშ-ს ელჩს საქართველოში. ითხოვდნენ შეხვედრას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან თუმცა უშედეგოდ. ამ დრომდე ჟურნაისტებმა ვერ მიიღეს პასუხი, როგორ აღმოჩნდა თბილისში გაუჩინარებული აზერბაიჯანელი კოლეგა მეორე დღეს ბაქოს ციხეში და რა როლი ითამაშა ქართულმა მხარემ ამ საქმეში.